

**საჯარო სამსახურის
ბიუროს 2019 წლის
საქმიანობის ანგარიში**

**CIVIL SERVICE BUREAU
ACTIVITY REPORT 2019**

სსიპ-საჯარო სამსახურის
ბიუროს 2019 წლის
საქმიანობის ანგარიში



1. საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზი.	4
2. ადამიანური რესურსების მართვა.	6
3. ეთიკა საჯარო სამსახურში.	10
4. საჯარო სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში მმართველობის ახალი გზების დანერგვის ხელშეწყობა	12
5. საჯარო სამსახურების ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება . . .	14
6. საკანონმდებლო ცვლილებები და სასამართლოში მიმდინარე წარმოება	15
7. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების სისტემის დახვეწა	16
8. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგი	17
2019 წლის სტატისტიკა საჯარო სამსახურში	33

1. საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზი

„საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 19 ნოემბრის N627 დადგენილების თანახმად, სახელმწიფო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ეთხოვათ ფუნქციური ანალიზის თავიანთ დაწესებულებებში ჩატარება, რამაც საჯარო მმართველობის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში ფუნქციურ ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციური ანალიზი

საჯარო სამსახურის ბიურომ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, გააგრძელა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის პროცესი.

2019 წლის იანვრის თვეში, ბიურომ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, უმასპინძლა გერმანულ ექსპერტს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის საქართველოს კონტექსტზე მორგებული ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციებისათვის განკუთვნილი ინსტიტუციური და ორგანიზაციული მოწყობის გეგმის სარეკომენდაციო ხასიათის ნიმუშის მომზადების მიზნით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფუნქციური ანალიზის პირველ ეტაპზე, საჯარო სამსახურის ბიურომ განსაზღვრა შემდეგი ექვსი საპილოტე მუნიციპალიტეტი: სენაკი, ქუთაისი, ყაზბეგი, რუსთავი, გურჯაანი და დედოფლის-

ყარო. აღნიშნული მუნიციპალიტეტების ორგანოების საქმიანობის და ორგანიზაციული მოწყობის გაანალიზების მიზნით, ბიურომ შეიმუშავა კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თვითმმართველობის ორგანოების მისია-მიზნების, ძირითადი და მხარდაჭერი ფუნქციების, დელეგირებული და ექსკლუზიური უფლებამოსილებების აღსრულების და მათზე დარგობრივი და სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების შესახებ. მიღებული მონაცემების განზოგადების საფუძველზე, შეიმუშავდა მუნიციპალიტეტების ორგანოების პროფილები და ორგანიზაციული მოწყობის პირველადი პრინციპები.

პირველადი მიგნებების გაანალიზებისა და შემდგომი ინტერვიუების დაგეგმვის მიზნით, 2019 წლის ივნისის თვეში, ბიურომ კვლავ უმასპინძლა გერმანულ ექსპერტს, ხოლო ივნისსა და ივლისში ფუნქციურ ანალიზზე მომუშავე გუნდმა ინტერვიუები ჩაატარა ექვსივე საპილოტე მუნიციპალიტეტში. შედეგად, მომზადდა აღნიშნული მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური და ფუნქციური ანალიზის პირველადი ანგარიშები.

აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების ფუნქციური ანალიზი

USAID-ის პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) მხარდაჭერით საჯარო სამსახურის ბიურომ, 2019 წლიდან დაგეგმა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების ინსტიტუციური და ფუნქციური ანალიზის პროცესი. საანგარიშო პერიოდში, წლის დასაწყისში შეიმუშავებული პირველადი მეთოდოლოგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, განხორციელდა, სპეციალურად ამ მიზნით, ავტონომიურ რესპუბლიკებში თითოეული სამინისტროს და მათ დაქვემდებარებაში არსებული საჯარო დაწესებულების მიერ შევსებუ-

1. საჯარო დაწესებულებების ფუნქციური ანალიზი

ლი კითხვარების ანალიზი. ანალიზის შედეგად, საჯარო სამსახურის ბიურომ მოახდინა ინფორმაციის განზოგადება და პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, დაგეგმა ინტერვიუების ჩატარება 2020 წლის იანვრისა და თებერვლის თვეებში. ამასთანავე, ინსტიტუციური ანალიზის განხორციელებაში მეთოდური დახმარების მიზნით, USAID-ის პროგრამა GGI-ის მხარდაჭერით, მონვეულ იქნა საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც საანგარიშო პერიოდში – 15-17 აპრილს, ტრენერთა ტრენინგი ჩაუტარა ბიუროში ფუნქციურ და ინსტიტუციურ ანალიზზე მომუშავე გუნდს, თემაზე: საჯარო დაწესებულებების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციური ანალიზი

საჯარო სამსახურის ბიურომ, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზის მიზნით, ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით შეადგინა კითხვარი და გაუგზავნა ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. პირველ ეტაპზე, სამუშაო

პროცესში, ბიურომ საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიზაციისთვის შეიმუშავა კრიტერიუმების მატრიცა და მეთოდოლოგია შიდა გამოყენებისათვის.

შედეგად, საანგარიშო პერიოდში, კითხვარებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საჯარო სამართლის იურიდიული პირები დაიყო კატეგორიებად და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, შემუშავდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიებად დაყოფას, განსაზღვრავს მათი დაფუძნების საფუძვლებს და მათთან მიმართებით ადგენს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელების საკითხებს. თითოეული საჯარო დაწესებულების მაღალი ინტერესის გათვალისწინებითა და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, გაიმართა კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვები.

2. ადამიანური რესურსების მართვა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფისათვის, საჯარო სამსახურის ბიურო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აგრძელებს მუშაობას საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის მიმართულებით.

მიღება საჯარო სამსახურში

საანგარიშო პერიოდში, ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) გამოცხადდა 5582 ვაკანსია, აქედან 4061 იყო კონკურსი, 479 დახურული, 613 გამარტივებული, 388 სტაჟირება და 41 სხვა.

კონკურსის მონაწილე კანდიდატის უფლების დაცვისა და კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატის მიერ გაკეთებული განაცხადის ფორმალურ საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიმართა 48 კანდიდატმა 106 კონკურსთან დაკავშირებით. საკონკურსო პირობების და განაცხადის შესაბამისობის გადამოწმების შემდგომ, ბიუროს რეკომენდაციით, კონკურსის შემდგომ ეტაპზე დაშვებულ იქნა 23 კანდიდატი 47 ვაკანსიაზე.

საკონკურსო ოქმების ანალიზი

კონკურსის მიმდინარეობის პროცესის შესწავლისათვის საჯარო სამსახურის ბიურომ საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული ღია და დახურული კონკურსების ოქმების გამოგზავნის მოთხოვნით 150 სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას მიმართა. გამოთხოვილი ინფორმაციის შედეგად გაანალიზდა 928 ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის დოკუმენტაცია. მიღებული დოკუმენტაციის განხილვისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საჭიროებს დახვეწას:

კანდიდატების შეფასების მეთოდოლოგია ბუნდოვანია. უმეტესწილად, კანდიდატების შეფასებისათვის გამოყენებულია მხოლოდ გასაუბრება, ზოგიერთ შემთხვევაში, გვხვდება ზეპირი დავალების კომპონენტიც, თუმცა, წერით დავალებას იშვიათ შემთხვევაში განსაზღვრავენ დაწესებულებები. ზეპირი დავალება, ძირითადად, გამოიხატება ფაქტობრივი ცოდნის შეფასებით, მოკლებულია ლოგიკურ მსჯელობას და საკითხის ინდივიდუალურად გადანწყვეტის შესაძლებლობას;

- სხვადასხვა სპეციფიკის ვაკანსიებზე შექმნილია ერთი და იგივე კომისია. შედეგად, სხვადასხვა ვაკანტური თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომისია შესაძლოა იყოს მოკლებული შესაძლებლობას შეარჩიოს დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი საუკეთესო კანდიდატი;
- ზოგიერთ ოქმში არ არის დეტალურად განვლილი ინფორმაცია კონკურსის ეტაპებისა და მიმდინარეობის შესახებ. კონკურსის ეტაპების მხოლოდ ჩამოთვლა, რომელიც შესაბამის დადგენილებაში ისედაც მითითებულია, არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატის შეფასების ფორმებისა და მეთოდების, კომისიის წევრების მსჯელობის და გადანწყვეტილების მიღების საფუძვლების შესახებ;
- რამდენიმე შემთხვევაში, არ იყო შედგენილი ოქმი, რომელიც განსაზღვრავს კონკურსის პირობებს, პროგრამას, ვადებს, კანდიდატის შეფასებისა და სხვა დეტალურ საკითხებს.

გასაუბრების მონიტორინგი

საჯარო სამსახურის ბიურომ განახორციელა საჯარო დაწესებულებებში კონკურსის დროს

მიმდინარე გასაუბრების ეტაპის მონიტორინგი. საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დააკვირდნენ 14 სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში მოხელის ვაკანტური პოზიციისათვის ჩატარებულ გასაუბრებას – კონკურსის მეორე ეტაპს.

გასაუბრების მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გაუმჯობესებაზე მუშაობის დაწყების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებებში, საგრძნობლად დაიხვეწება გასაუბრების პროცესი:

- უმეტეს შემთხვევაში, წინასწარ არ არის შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარი, რაც იწვევს კანდიდატის შეფასების პროცესში კომისიის წევრთა არათანაბარ ჩართულობას, კანდიდატთან გასაუბრების დროის არაეფექტიანად მართვას და გასაუბრების სპონტანურობას;
- გასაუბრების მიმდინარეობის პროცესში ნათლად არ იკვეთება ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლის როლი;
- გასაუბრების მიმდინარეობის პროცესში კანდიდატთან გასაუბრების ხანგრძლივობასთან მიმართებით გამოიკვეთა არაერთგვაროვანი და არასისტემური მიდგომა.

გამარტივებული კონკურსის გარეშე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში ბიუროს მიერ გადათვლილი სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში გამარტივებული საჯარო კონკურსის გარეშე გაფორმებული 1412 შრომითი ხელშეკრულების შინაარსი, გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის ხარვეზები, რომლების ძირითადად ეხებოდა შემდეგ ასპექტებს:

- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, რომლებიც შესაბამისად პროფესიული საჯარო მოხელის მიერ განხორციელებულ ფუნქციებს და არ ატარებდა დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების ხასიათს;
- ხელშეკრულებებში არ იყო დეტალურად აღწერილი შესასრულებელი ფუნქციები, რითიც

ვერ დგინდება რა სახის ფუნქციის შესრულება ევალუა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს;

- რიც შემთხვევაში ხელშეკრულებებში მითითებული პოზიცია ემთხვევა პროფესიული საჯარო მოხელის პოზიციის დასახელებას.

დამუშავებული შრომითი ხელშეკრულებებიდან ცენტრალური ხელისუფლების დონეზე გაფორმებულია 463 ხელშეკრულება, რეგიონულ დონეზე – 568, საერთო სასამართლოებში – 64, პარლამენტის აპარატში – 135, ხოლო, ავტონომიურ რესპუბლიკებში – 182.

პროფესიული საჯარო მოხელის მობილობა და რეზერვი

ბიურო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იყო საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას მოხელის მობილობის პროცესში. საანგარიშო პერიოდში 43 საჯარო დაწესებულებაში განხორციელდა რეორგანიზაცია. წარმატებით განხორციელდა 52 მობილობა. მობილობის შეუძლებლობის გამო ამჟამად მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულია 564 მოხელე. საანგარიშო პერიოდში რეზერვში ჩარიცხულ 23 საჯარო მოხელეს დაეკისრა დროებითი ფუნქციების შესრულება.

პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების სისტემის ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაანალიზდა საჯარო დაწესებულებების მიერ 2018 წელს განხორციელებული სამუშაოს შეფასების შედეგები. 2018 წელს საჯარო დაწესებულებების მიერ დამტკიცებული თანამშრომელთა შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველზე შეფასდა ყველა საჯარო მოხელე, რომელიც ექვემდებარებოდა შეფასებას. შეფასების შედეგები საჯარო სამსახურის ბიუროს წარედგინა 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით. 2018 წლის განმავლობაში შეფასებას დაექვემდებარა 11455 საჯარო მოხელე. მათგან საუკეთესო შეფასება მიიღო 5430 საჯარო მოხელემ, კარგი

შეფასება – 5850, დამაკმაყოფილებელი შეფასება – 165, ხოლო 10 მოხელე შეფასდა არადა-
მაკმაყოფილებლად.

2018 წელს საჯარო დაწესებულებებში შეფასებას შედეგად მოჰყვა მოხელეთა ნახალისება ფულადი ჯილდოს, მადლობის გამოცხადებისა და ფასიანი საჩუქრის გადაცემით. შეფასებული მოხელეებიდან 7433 მოხელემ მიიღო ფულადი ჯილდო, 502 მოხელეს გამოეცხადა მადლობა, ხოლო 43 მოხელეს გადაეცა ფასიანი საჩუქარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიურომ განაგრძო საჯარო დაწესებულებებში შეფასების სისტემური დანერგვის ხელშეწყობა. კერძოდ, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და GIZ-ის პროგრამის „ადგილობრივი თვითმმართველობა სამხრეთ კავკასიაში“ მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, თვითმმართველობებში თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის განვითარების ხელშეწყობისა და რეგიონში შეფასების სისტემასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გავრცელების მიზნით. პროექტის ფარგლებში საქართველოს თითოეული რეგიონიდან შეირჩა თვითმმართველობის ორგანოს ადამიანურ რესურსებზე პასუხისმგებელი 10 პირი.

პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების პროცესში უკუკავშირის პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს რთული საუბრების წარმართვის ტექნიკების კურსში, რომელსაც ორ ეტაპად გაუძღვნენ ბრიტანეთის დავების ეფექტიანი მოგვარების ცენტრის (CEDR) წარმომადგენლები და ადგილობრივი ექსპერტი.

ბიუროს ინიციატივითა და UNDP-ის ფინანსური მხარდაჭერით, შეფასების სისტემის პრაქტიკაში იმპლემენტაციის დროს გამოკვეთილი პრობლემების ანალიზისა და არსებული გამოწვევების განხილვის მიზნით, 2019 წლის თებერვალში მოეწყო ორდღიანი სამუშაო შეხვედრა ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამი-

ანური რესურსების მართვის ერთეულების ხელმძღვანელების მონაწილეობით და დაიგეგმა სისტემის დახვეწის მიზნით განსახორციელებელი ცვლილებები.

პროფესიული საჯარო მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის პრაქტიკაში სწორად იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის UNDP ფინანსური მხარდაჭერით, შეიქმნა რამდენიმე ვიდეორგოლი შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.

პროფესიული განვითარების სისტემა საჯარო სამსახურში

პროფესიული განვითარების სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 14 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა საჯარო დაწესებულების მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმისა და ანგარიშის ფორმა, რომლის შესაბამისადაც თითოეულმა საჯარო დაწესებულებამ დაამტკიცა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმა.

პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა

პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავდა და 2019 წლის 6 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.

საბაზისო პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის კონტროლს უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საჯარო სამ-

სახურის ბიუროს უფროსის ბრძანებით შექმნილი პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროფესიული განვითარების პროგრამების 5 მიმწოდებლის მიერ შემუშავებული ტრენინგ-პროგრამების აკრედიტაცია.

2019 წლის განმავლობაში პროფესიული განვითარების გეგმების საფუძველზე, პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა დაიგეგმა 1531 მოხელისათვის. პროფესიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულ საბაზისო პროგრამას დაესწრო I და II რანგის 96, ხოლო III და IV რანგის 200 მოხელე. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს 292 საჯარო მოხელის გადამზადება.

პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამა

2019 წლის განმავლობაში პროფესიული განვითარების გეგმების საფუძველზე, 5190 მოხელისათვის დაიგეგმა პროფესიული განვითარების 1064 დამატებითი პროგრამა.

საანგარიშო პერიოდში პროფესიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ დამატებით პროგრამას დაესწერო 1589 საჯარო მოხელე. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს 332 საჯარო მოხელის გადამზადება. ყველაზე ხშირად განხორციელებული პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამა ეხება შემდეგ თემატიკას:

- ✓ ადამიანური რესურსების მართვა
- ✓ პროექტების მართვა
- ✓ მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება
- ✓ ადმინისტრაციული წარმოება
- ✓ სახელმწიფო შესყიდვები
- ✓ საზოგადოებასთან ურთიერთობა
- ✓ შიდა აუდიტი
- ✓ ეფექტური მართვის უნარები მუნიციპალიტეტებში
- ✓ კომუნიკაციის საკითხები
- ✓ საოფისე კომპიუტერული პროგრამები

ფორუმები და სამუშაო შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით გაიმართა 5 HR ფორუმი,

2 სასწავლო ფორუმი და სამუშაო შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ცენტრალური ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და გუბერნატორების ადმინისტრაციების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების, ასევე ტრენინგ-ცენტრების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები. HR და სასწავლო ფორუმების ფარგლებში განხილულ იქნა პროფესიულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების აკრედიტაციის საკითხები, პროფესიული სწავლების პროგრამები და ტრენინგ საჭიროებები, ასევე, შეფასების სისტემა, სისტემის ძირითადი გამოწვევები და სამომავლო ხედვები.

საჯარო და კერძო სექტორის პირველი ერთობლივი HR ფორუმი

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, საქართველოში პირველად გაიმართა საჯარო და კერძო სექტორის ერთობლივი HR ფორუმი.

ფორუმი ადამიანური რესურსების მართვის ციკლის ერთ-ერთ ელემენტს – შესრულებული სამუშაოს შეფასებას მიეძღვნა. ფორუმის ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს შეფასების მეთოდები, შეფასებასთან დაკავშირებული მთავარი გამოწვევები და შეფასების შედეგების მართვა. ღონისძიებას 100-მდე პირი ესწრებოდა, მათ შორის რეგიონებიდან მონწილეული ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები.

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა

საანგარიშო პერიოდში სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გაზაფხულისა და შემოდგომის ნაკადზე გამოცხადდა 13 651 ვაკანსია. 2019 წლის განმავლობაში სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობდა 37 უნივერსიტეტი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 1046 სტაჟირების მსურველი, აქედან 110 კურსდამთავრებულისა და 936 სტუდენტის სტატუსით. 1046 სტაჟიორიდან 942 სტაჟიორი დარეგისტრირდა თბილისის მასშტაბით გამოცხადებულ ვაკანსიებზე.

3. ეტიკა საჯარო სამსახურში

ეთიკის ელექტრონული კურსი

საქართველოს საჯარო დაწესებულებებში, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებისა და ეთიკის საკითხებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა საჯარო სამსახურში ეთიკის ელექტრონული სასწავლო პლატფორმის კონცეფცია. კონცეფციით განისაზღვრა ელექტრონული კურსის მიზანი, ელექტრონული კურსის თემატიკა, ელექტრონული კურსის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, სამიზნე აუდიტორია და კურსის მოდულები. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე შერჩეულმა კომპანიამ, განახორციელა ელექტრონული კურსის პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2019 წლის 2 და 3 მაისს, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვისა და შიდა აუდიტის თანამშრომლები. შეხვედრის შედეგად, შემუშავდა ეთიკის ელექტრონული სასწავლო მოდულის შინაარსის პირველადი ვარიანტი. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ელექტრონული სისტემის დიზაინზე მუშაობა და შინაარსობრივი გამართვა.

გამოცდილების გაზიარება საჯარო სამსახურში ეთიკის საკითხებში

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და საქართველოში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (GIZ) მხარდაჭერით, „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების“ პროგრამის ფარგლებში, საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლებმა უკრაინელი და მოლდოველი პარტნიორებისთვის ჩაატარეს ოთხდღიანი გადამზადების კურსი საჯარო მოხელეთა ეთიკისა და ღირებულებების საკითხებზე. ქართულმა

მხარემ უცხოელ პარტნიორებს გაუზიარა თავისი გამოცდილება საჯარო სექტორში ეთიკისა და კორუფციის პრევენციის მიმართულებით, რათა, შემდგომში, პარტნიორებმა თავად განახორციელონ რეზიდენტ ქვეყნებში საჯარო მოხელეთა გადამზადება ხსენებული მიმართულებებით.

ტრენინგს, რომელიც 2019 წლის 11 მაისს დასრულდა, წინ უძღვოდა საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და GIZ-ის მხარდაჭერით გამართული საერთაშორისო მრგვალი მაგიდა რომლის ფარგლებშიც, უკრაინელმა და მოლდოველმა კოლეგებმა საჯარო სამსახურის ბიუროსთან ერთად, განიხილეს საჯარო სექტორში ეთიკის საკითხებთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი გადაწყვეტის გზები. დისკუსიას მოდერატორობას უწევდა საქართველოში GIZ-ის წარმომადგენელი და ბერლინის საჯარო ადმინისტრირების აკადემიის დირექტორი – ვოლფგანგ შიროკი.

ცნობიერების ამაღლება საჯარო სამსახურში ეთიკის საკითხებში

2019 წლის მარტის თვეში, ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, დაასრულა პროექტის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ანტიკორუფციულ მექანიზმებზე ცნობიერების ამაღლების გზით, საჯარო სამსახურის რეფორმის დანერგვის მხარდაჭერა“ – განხორციელება.

მასშტაბური პროექტი მიზნად ისახავდა საჯარო სამსახურის რეფორმისა და ანტიკორუფციული მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლებას როგორც საჯარო სამსახურში დასაქმებული პირებისათვის, ასევე სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევარების, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის. კერძოდ, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სიახლეებსა და

3. ეტიკა საჯარო სამსახურში

ანტიკორუფციულ მექანიზმებზე, როგორც ცენტრალურ საჯარო უწყებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მოხელეთათვის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლისათვის. ტრენინგები გაიარა სულ 528 მონაწილემ.

მხილება საჯარო სამსახურში

2019 წლის განმავლობაში ბიუროს ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.mkhileba.gov.ge) დაფიქსირდა სხვადასხვა საჯარო დანებსეუ-

ლების მისამართით მხილების 26 ფაქტი. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, ბიუროში არ შემოსულა წერილი ეტიკისა და ქცევის ზოგადი წესების დარღვევასთან დაკავშირებით, თუმცა სხვადასხვა საჯარო დანებსეულებას მათი წერილობითი თხოვნის საფუძველზე გავუწიეთ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი დახმარება და გავეცით რეკომენდაცია, როგორც ინტერესთა შეუთავსებლობის, ასევე დისციპლინური გადაცდომის თაობაზე მიმდინარე წარმოებებთან დაკავშირებით.

4. საქართველოს სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში მმართველობის ახალი გზების დანერგვის ხელშეწყობა

საქართველოს სამსახურის რეფორმის მიმდინარეობის ამ ეტაპზე, რეფორმის იმპლემენტაციის ხელშეწყობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მმართველობის ახალი გზებისა და მიდგომების დანერგვა. ამ მიზნით, საქართველოს ბიურო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით 2019-2020 წლებში ახორციელებს პროექტს „საქართველოს სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში მმართველობის ახალი გზების დანერგვის ხელშეწყობა“. პროექტის ფარგლებში, საქართველოს ბიურომ უკვე განახორციელა შემდეგი აქტივობები:

საქართველო მოხელეთა ფორუმი

საქართველოს სამსახურის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს ბიუროს ინიციატივით, საქართველო სამსახურში მიმდინარე რეფორმის პროცესში გამოცდილების უკეთ გაზიარებისა და მოხელეებს შორის უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობისათვის, დაფუძნდა მოხელეთა ფორუმი. 2019 წლის დეკემბერში, მოსამზადებელი პროცესისა და ფოკუს ჯგუფების დროს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, ჩატარდა პირველი ფორუმი თემაზე – პროფესია საქართველო მოხელე. პროექტის განმავლობაში გათვალისწინებულია სულ 10 შეხვედრის ჩატარება.

პროფესიონალიზმის და ინოვაციების ნახალისება საქართველო სამსახურში

საქართველო მოხელეთა პროფესიული უნარების განვითარების სხვადასხვა სქემებისა და მეთოდების

გამოყენების ნახალისების, ასევე, სწრაფი და შეუქცევადი ტექნოლოგიური განვითარების, მომავალი უნარებისა და კომპეტენციების საჭიროებების დადგენის მიზნით, პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ადგილობრივმა ექსპერტმა ჩაატარა კვლევა საქართველო სამსახურში მენტორინგისა და ქოუჩინგის სისტემების შესახებ. 2019 წლის სექტემბერში მოხდა აღნიშნული კვლევის პრეზენტაცია, ასევე მომზადდა კვლევა მოტივაციის სისტემებთან დაკავშირებით, რომლის პრეზენტაცია მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართა საქართველო დანერგვების წარმომადგენლებისათვის.

ამასთანავე, საქართველო სამსახურში მომავალი უნარებისა და სამუშაო ძალის დაგეგმვის შესახებ კვლევის განხორციელების მიზნით, საქართველო სამსახურის ბიუროს მიერ მოწვეულ იქნა ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები, რომელთაც გამართეს სამუშაო შეხვედრა. პროექტის მიმდინარეობის ამ ეტაპზე მომზადებულია კვლევის პირველადი შედეგები.

ეფექტიანი მართვა და ლიდერობა სამინისტროებში

კეთილსინდისიერი და ეთიკური გარემოს გაძლიერების, ეფექტიანი მართვისა და ორგანიზაციული კულტურის განვითარების მიზნით, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ლიდერობისა და მართვის შესახებ ტრენინგების ციკლის ჩატარება სამინისტროების ყველა პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მათი მოადგილეებისათვის. ჯამში, აღნიშნული აქტივობის ფარგლებში დაგეგმილია 15 სამდღიანი ტრენინგის ჩატარება 300 მოხე-

ლისათვის. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 4 ტრენინგი, რომელსაც დაესწრო 68 საჯარო მოხელე. ამასთანავე, მენეჯმენტისა და ლიდერობის საკითხებზე საჯარო სამსახურში პირველად მომზადდა სახელმძღვანელო, რომელზეც ტრენინგთა ტრენინგის ფარგლებში გადამზადებულმა, მოქმედმა მენეჯერებმა იმუშავეს.

საჯარო მოხელის დღე

2019 წლის 19 დეკემბერს ჩატარდა საჯარო მოხელის დღისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ღონისძიება. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა მოდერირებული პანელური დისკუსია თემაზე – „მოხელის განვითარება, პროფესიული საქმიანობისა და პირადი ცხოვრების ბალანსი“. პანელის მომხსენებლები იყვნენ საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლები, სამინისტროებში დასაქმებული მოხელეები და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელი. გარდა ამისა, შემაჯამებელ ღონისძიებაზე გაიმართა პროექტის ფარგლებში შექმნილი ვიდეო რგოლის – „მოხელის დღე“ – პრეზენტაცია, რომელიც დაეთმო სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების გამოცდილების გაზიარებას. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სამინისტროებში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების ნამუშევრები.

საჯარო სამსახურის რეფორმის 5 წელი

2019 წლის 19 ნოემბერს, საჯარო სამსახურის ბიურომ, საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, საჯარო სამსახურის რეფორმის 5 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია გამართა. ღონისძიების ფარგლებში, ბიურომ შეაჯამა საჯარო სამსახურის რეფორმის 5 წელი. კონფერენციას საქართველოს მთავრობის, საჯარო სამსახურის, დიპლომატიური კორპუსის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების 150-მდე წარმომადგენელი დაესწრო. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა მოდერირებული პანელური დისკუსიები შემდეგი თემების ირგვლივ: კარგი საჯარო მმართველობა, ადამიანური რესურსების მართვა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში. პანელის მომხსენებლები იყვნენ საჯარო სამსახურში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეები, ადგილობრივი და ევროკავშირის (SIGMA) ექსპერტები. ღონისძიებას მხარს უჭერდნენ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის და შვედეთის მთავრობის, ასევე აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა“ (GDI) წარმომადგენლები და ევროკავშირი.

5. საჯარო სამსახურების ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება

საჯარო სამსახურის ბიუროსა და ლიეტუვას მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლობით, ევროკავშირის მხარდაჭერით, 2018 წლის ნოემბრიდან, დაიწყო ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში (ENPI) დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტი – „საჯარო სამსახურის ბიუროს გაძლიერება საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით“. პროექტის მიზანია საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

პროექტის ფარგლებში, ლიეტუველმა ექსპერტებმა შეიმუშავეს ტრენინგ სქემები ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებისა და ზედა რგოლის მენეჯერებისთვის. შეიმუშავებული სქემები წარედგინა საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებს სამუშაო შეხვედრის ფარგლებში. შედეგად, მომზადდა ტრენინგის მოდულები პრიორიტეტულ საკითხზე, რომლებიც გამოვლინდა საჯარო სამსახურის ბიუროსა და საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების აქტიური ჩართულობით. მოდულები შედგენილია შემდეგ საკითხებზე: საჯარო სამსახურში მიღება, ადაპტაცია (მენტორინგი) და გათავისუფლება; მოხელის შესრულებული სამუშაოს შეფასება; პროფესიული განვითარება და პროფესიული განვითარების საჭიროების შეფასება; პროფესიული ეთიკა, კორუფციის პრევენცია, გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა საჯარო სამსახურში; ცვლილებების მართვა, თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვის თეორია და მენეჯმენტის შესაძლებლობები; ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა; წახალისება და

მოტივაცია; კონფლიქტის მართვა; წარმატებული ადამიანების მართვა.

ამასთანავე, ტრენინგ პროგრამები მომზადდა საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. შედეგად, 2019 წლის განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლებმა გაიარეს ერთი ან რამდენიმე ტრენინგი შემდეგ თემებზე: ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია, წარმატებული ადამიანების მართვა, საჯარო მმართველობის ევროპულ პრინციპებთან ჰარმონიზაცია, სტრატეგიული დაგეგმვა და მენეჯმენტი, პროექტის მენეჯმენტი.

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, ორი სასწავლო ვიზიტი განხორციელდა რუმინეთსა და ლიეტუვაში. მონაწილეები გაეცნენ რუმინეთის გამოცდილებას დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირებისა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის საკითხებზე. ლიეტუვაში, სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, იმყოფებოდნენ საჯარო სამსახურის ბიუროს, თავდაცვის, საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლები. მონაწილეები გაეცნენ ლიეტუვას გამოცდილებას ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში და დისკუსიები წარიმართა ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა მართვის თანამედროვე მიდგომები, საჯარო მოხელეთა შესრულებული სამუშაოს შეფასება, პროფესიული განვითარება, შრომის ანაზღაურების სისტემა.

პროექტის ფარგლებში, საჯარო სამსახურის ბიუროს ეფექტიანი კომუნიკაციის მექანიზმების განვითარებისთვის ინფორმაციის ჯეროვანი მიწოდების უზრუნველსაყოფად, შემუშავდა რეკომენდაციები საჯარო სამსახურის ბიუროს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

6. საკანონმდებლო ცვლილებები და სასამართლოში მიმდინარე წარმოება

2019 წლის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა შემდეგი ნორმატიული აქტის პროექტი:

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N178 დადგენილება; ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის N139 დადგენილება.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები (2018

წლის 4 მაისს და მოგვიანებით 2019 წლის 4 აპრილს), რომლითაც დადგინდა დეკლარაციაში არაარსებითი ხასიათის დარღვევის ცნება და განისაზღვრა მათი შინაარსი და ფარგლები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილებების შემდეგ, ნათლად წარმოჩინდა კანონმდებლის ცალსახა დამოკიდებულება დეკლარაციაში არსებული დარღვევის მიმართ და მკაფიოდ განისაზღვრა ის კრიტერიუმები, რომლითაც გამარტივდა არსებითი ხასიათის დარღვევის იდენტიფიცირების შესაძლებლობები.

აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებამ განაპირობა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადრე ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკის რადიკალური ცვლილება. კერძოდ, ბიუროს ის განკარგულებები, რომლებიც მიღებულ იქნა ზემოთ მითითებული ცვლილებების შემდეგ და გასაჩივრდა სასამართლოში, თავად სასამართლოს მიერ დატოვებულ იქნა ძალაში და შესაბამისად, მოსარჩევეებს უარი ეთქვათ სასარჩელო განცხადებების დაკმაყოფილებაზე.

7. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების სისტემის დახვეწა

2019 წლიდან საჯარო სამსახურის ბიუროში დაიწყო მუშაობა დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ცვლილებების განხორციელების მიზნით. კერძოდ, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან თანამშრომლობით, განახლებული დეკლარირების ელექტრონული სისტემა ამოქმედდება 2020 წლის 1 მარტიდან.

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ელექტრონულ სისტემაში (www.declaration.gov.ge) განსახორციელებელი ცვლილებები მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, დეკლარაციაში ინფორმაციის შეტანის პროცესის გამარტივებას, ხოლო, მეორე მხრივ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეგულაციებთან შესაბამისობას. კერძოდ, ინიცირებული მოთხოვნების მიხედვით:

- სისტემაში მომხმარებლის (დეკლარანტის) ავტორიზაცია შესაძლებელი იქნება ელექტრონული პირადობის მოწმობით;
- დეკლარაციის ჩაბარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მისი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით დამონშემების შემთხვევაში;
- დეკლარაციის შევსების პროცესში, თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის პირადი ნომრის მითითებისას მთელ რიგ გვერდებზე (უძრავი ქონება, მოძრავი ქონება (ავტოსატრანსპორტო საშუალება, ცეცხლსასროლი იარაღი), ინფორმაცია სანარმოების შესახებ, შემოსავლები, ხელშეკრულებები) განხორციელდება შესაბამისი ვებსერვისებიდან (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, შემოსავლების სამსახური, ნოტარიუსთა პალატა) მიღებული ინფორმაციის დეკლარაციის შესაბამის მოდულში ინტეგრაცია.

8. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგი

2019 წელს, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილების შესაბამისად შემოწმებას დაექვემდებარა დეკლარაციის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევით და დამოუკიდებელი კომისიის მიერ შერჩეული თანამდებობის პირების დეკლარაციები. დამოუკიდებელი კომისიის მიერ შეირჩა 297 თანამდებობის პირის დეკლარაცია, ხოლო ელექტრონული სისტემის მიერ შეირჩა, 310 დეკლარაცია. ჯამურად 2019 წლის განმავლობაში მონიტორინგს დაექვემდებარა 607 თანამდებობის პირი.

შედეგად, 607 თანამდებობის პირიდან მონიტორინგი განხორციელდა 596 დეკლარაცი-

აზე. 11 დეკლარანტზე მონიტორინგი არ დაწყებულა, რაც განპირობებული იყო „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებით, რომლის თანახმადაც დეკლარაციის შევსების ვალდებულების მქონე თანამდებობის პირთა სიიდან ამოღებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები. შემოწმებული 596 დეკლარაციიდან დადებითად შეფასდა 237 თანამდებობის პირი, დაჯარიმდა – 254, ხოლო გაფრთხილებულ იქნა – 75. ასევე, სხვადასხვა საკანონმდებლო საფუძვლით მონიტორინგი შეწყდა 27 თანამდებობის პირზე, პროკურატურაში გადაიგზავნა 1 თანამდებობის პირის დეკლარაცია, სასამართლოს მიერ წარმოება შეჩერდა – 2 თანამდებობის პირზე.

LEPL CIVIL SERVICE BUREAU ACTIVITY REPORT 2019



1. Functional analysis of public authorities	20
2. Human resources management	22
3. Ethics in civil service	26
4. Supporting the introduction of new ways of governance in the process of implementation of civil service reform	27
5. Institutional strengthening of civil service	29
6. Legislative changes and ongoing court proceedings	30
7. Improvement of the system of filing asset declarations of public officials	31
8. Monitoring of asset declarations of public officials	32
Statistics in Civil Service 2019	33

1. FUNCTIONAL ANALYSIS OF PUBLIC AUTHORITIES

Pursuant to Article 3 of the Resolution N627 of the Government of Georgia, dated 19th November 2014 on the “Approval of Civil Service Reform Concept and a Number of Related Activities”, the public authorities, local self-government bodies and the Legal Entities of Public Law (LEPL) are required to undertake functional analysis of their respective authorities, granting the functional analysis particular importance in the context of the current reform.

Functional analysis of local self-government bodies

The Civil Service Bureau (CSB), in cooperation with the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia and with the support of the German International Cooperation Agency (GIZ), continued the process of functional and institutional analysis of local authorities.

In January 2019, the CSB, with the support of GIZ hosted a German expert to prepare the recommendations on the plan of institutional and organizational set-up for the local self-government administrations tailored to the Georgian context. In the first phase of institutional and functional analysis of local self-government bodies, the CSB identified the following six pilot municipalities: Senaki, Kutaisi, Kazbegi, Rustavi, Gurjaani and Dedoplistskaro. With the aim to analyze the organizational structure of the municipal bodies concerned, the CSB developed a questionnaire, which includes information on the mission and objectives of local self-government bodies, their core and support functions, enforcement of delegated and exclusive powers, as well as undertaking of the respective field and legal supervision on them.

Based on the generalization of the obtained data, the profiles of municipalities and the primary principles for their organizational set-up were developed.

In June 2019, the CSB hosted again a German expert to analyze the initial findings and plan further interviews, and in June and July, the functional analysis working group conducted interviews in all six pilot municipalities. As a result, preliminary reports on institutional and functional analysis of the municipalities concerned were prepared.

Functional Analysis of the Governments of the Autonomous Republics of Adjara and Abkhazia

With the support of the USAID Project “Good Governance Initiative” (GGI), the CSB has planned the process of the institutional and functional analysis of the governments of Autonomous Republics of Adjara and Abkhazia in 2019. Using the preliminary methodology and action plan developed at the beginning of the year, the analysis of questionnaires completed by each ministry and their respective subordinated bodies in both Autonomous Republics was undertaken within the reporting period. Based on the analysis the CSB has generalized obtained information and planned to conduct interviews in January and February 2020 in agreement with the partner organization. Moreover, in order to facilitate the institutional analysis process and with support of USAID GGI program, an international expert was invited to deliver a training of trainers (ToT) to the CSB team undertaking functional and institutional analysis within the reporting period, on April 15-17. The training topic was:

1. Functional analysis of public authorities

functional and institutional analysis of public authorities.

Functional analysis of legal entities of public law (LEPLs)

In order to analyze the functions and scope of powers of the LEPLs, the CSB, in cooperation with the Ministry of Finance, developed a questionnaire and sent it to all LEPLs. In the initial stage, the CSB has developed a criteria matrix and the methodology for internal use to categorize the LEPLs.

Based on the information received through the questionnaires during the reporting period,

the LEPLs were categorized and, in cooperation with the Government of Georgia, draft amendments to the Law of Georgia on Legal Entities of Public Law were developed. The draft amendment provides for the LEPL categorization, defines the grounds for their establishment and addresses the issues of application of civil service regulatory legislation towards them. In order to ensure the high interest and involvement of each public authority, the discussions of the draft amendments to the law were held.

2. HUMAN RESOURCES MANAGEMENT

In accordance with the requirements of the Law of Georgia on “Civil Service” and for ensuring the uniformity of the national policy on human resources management in public authorities, the CSB, within its competence, continued to study the existing conditions and monitored the enforcement of the unified state policy with regards to human resources management in public authorities.

Recruitment in the civil service

During the reporting period, 5582 vacancies were announced on the website administered by the CSB (www.hr.gov.ge), of which 4061 were open competitions, 479 – closed competitions, 613 – simplified competitions, 388 internships and 41 others.

With the request to verify the candidate’s eligibility and the compliance of their applications with formal requirements at the first stage of the competition, 48 candidates applied to the CSB with regards to 106 competitions. Upon verification of the terms of the competition and the compliance of the application, the Bureau recommended that 23 candidates be admitted for the next round in case of 47 vacancies.

Competition protocol analysis

In order to review the competition process, the CSB requested from 150 different public authorities to submit open and closed competition protocols announced by them during the reporting period. As a result of the requested information, the competition documentation for 928 vacancies was analyzed. Review and analysis of the received documentation resulted in several important issues that need to be addressed:

The candidates’ evaluation methodology is vague. In most cases the candidates are only

interviewed for evaluation, and in some cases there is an oral assignment tasks and written assignments are rarely provided by the authorities. Oral assignments mainly imply the assessment of actual knowledge, lacks logical reasoning and the ability to decide individually;

- The same commission is valid for vacancies in different fields and subject matters. As a result, given the specificity of the various vacant positions, the evaluation commission may not be capable of selecting the best candidate to meet the established requirements;
- Some protocols do not provide detailed information on the stages and progress of the competition. Only listing of the stages of the competition that is already defined in the relevant resolution, does not provide comprehensive information on the competition program, conditions, forms and methods of candidate evaluation, the reasoning and the decision making by the commission members;
- In several cases, no protocol was made specifying the competition terms, program, deadlines, candidate evaluation and other detailed issues.

Interview monitoring

CSB has monitored the stage of the interview during the competition in public authorities. During the reporting period, the CSB representatives have observed interviews for vacant civil servant positions in 14 different public authorities – which is second stage of the competition.

Significant issues were identified during the interview monitoring process, which, after they are improved, will considerably improve the interview process in public authorities:

In most cases, a structured interview questions have not been drafted in advance, leading to unequal involvement of commission members in the evaluation process of candidates, ineffective time management during the interview with the candidate, and spontaneous nature of interviewing;

- The role of the representative of the human resources management structural unit is not clearly identified during the interview;
- Interview process with the candidate proved to be non-systemized and non-unified in terms of the length of interviews.

Monitoring of labor contracts signed without simplified competition

During the reporting period, the CSB checked the contents of 1412 labor contracts signed without holding simplified public competition in various public authorities that revealed various types of gaps, mainly related to the following aspects:

Functions defined by the labor contract that coincided with those performed by a professional civil servant and did not have a nature of complementary or non-permanent tasks;

- The functions to be performed were not detailed in the contracts, which makes it impossible to define what functions a person employed by the labor contract is going to perform;
- In some cases, the position indicated in the contract is the same as the position of a professional civil servant.

Of the reviewed labor contracts, 463 were signed at central government level, 568 at regional level, 64 at common courts, 135 at the Parliament and 182 at Autonomous Republics.

Professional civil servants mobility and reserve

The CSB, within its competence, was involved in the process of staff mobility due to

the reorganization, liquidation and / or mergers of public authorities resulting in staff reductions. During the reporting period, 43 public institutions were reorganized. Mobility was successfully implemented in 52 cases. Due to the lack of mobility, 564 employees are currently included on the reserve list. During the reporting period, 23 civil servants in the reserve were assigned temporary duties.

Professional civil servants performance appraisal system

During the reporting period, the CSB analyzed the results of the evaluation of the work carried out by public authorities in 2018. In 2018, all civil servants subject to evaluation were evaluated on the basis of the employee evaluation methodology adopted by the respective public authorities. The evaluation results were submitted to the CSB as of January 31, 2019. During 2018, 11455 public servants were evaluated. Of these, 5430 were rated best, 5850 were rated good, 165 were rated satisfactory and 10 were rated non-satisfactory.

Evaluation in public authorities in 2018 resulted in civil servants being given monetary awards, gratitude and paid gifts. Of the evaluated officials, 7433 employees received monetary awards, 502 employees received the letter of appreciation and 43 employees received valuable gifts.

During the reporting period, the CSB continued to support systematic implementation of performance appraisal in public authorities. In particular, with the initiative of the CSB and the support of the GIZ program Good Local Governance in South Caucasus a project was implemented to support the development of a system of performance appraisal of staff of self-governments and to provide recommendations related to the evaluation system in the region. Within the framework of the project 10 persons responsible for human resources of

the self-government authorities were selected from each region in Georgia.

With the view to refining and improving the feedback process during the civil servant appraisal, the CSB initiated and the United Nations Development Program (UNDP) supported the participation of human resources management units of central governmental authorities in the difficult negotiation skills course, a two-stage course that was led by the representatives of British Centre for Effective Dispute Resolution (CEDR) and a local expert.

In February 2019, with the initiative of the CSB and the financial support from UNDP, a two-day workshop was held with the participation of the heads of human resources management units of central public authorities and the activities for improving the system were outlined.

In order to facilitate the proper implementation of the performance appraisal system implemented by a professional civil servant, several video clips were created on the initiative of the CSB and with the financial support from UNDP.

Professional development system in civil service

In order to ensure the integrity of the professional development system, by the order of the Head of the Civil Service Bureau dated January 14, 2019, the annual plan and report form for the professional development of public servants was approved, based on which each public authority approved the annual professional development plan.

Basic professional development program

